ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 48. კვირა, 4 ივლისი 1910 წ. დამატების № 8

ლუკმა პურისთვის

(რუსულიდან)

სუსხიანი ზამთრის დღე იწურებოდა, ბინდდებოდა, როცა ერთ სოფელში მახლობელ მაზრიდან დამშეულთათვის წითელ ჯვრის საზოგადოების მიერ შეწირული ოთხი ურემი ფქვილი შეიტანეს. ფქვილის მოტანის ამბავი სწრაფად მოედო სოფელს და თუმცა უკვე ბნელოდა, მაინც ხალხი მრავლად მოაწყდა სოფლის სამმართველოს, რომლის წინაც გააჩერეს ურმები.

— ოჰო, ღმერთო შენის წყალობით... ფქვილი მოიტანეს, ერთი ლუკმით მაინც მოვითქვამთ სულს. გაისმოდა აქეთ იქიდან.

— ნეტა რამდენ-რამდენს დაგვირიგებენ? კითხულობდნენ ზოგიერთები.

— არა მგონია ბევრ-ბევრი გვიწყალობენ, სულ რაღაც ასი ფუთია ვგონებ, უპასუხებდნენ მეორენი.

— ჰა, რა პირი დაგიღიათ და გაჩერებულხართ, კაცი ალარ უნდა გაატაროთ? ყვიროდა მამასახლისი, თან მუჯლუგუნს სთავაზობდა აქეთ იქით და კანცელარიისკენ მიიწევდა. — ნეტა ყველას დაურიგებენ? წამოიძახა ვიღამაც. — რის ყველას, ვერა ხედავ ერთი ბეწვაა; მისცემენ იმას, ვისაც ლუკმა არ გააჩნია, მიუგო მეურმემ.

ამ დროს სამართველოს აივანზე გამოჩნდა მამასახლისი.

— შეიტათ ე ურმები ეზოში თქვენ რატომ ალარ მიბრძანდებით სახლებში, რას ელით? დაიღუპეთ აქედან; ხვალ დილით ცნობებს მოვახდენ ვის რა აკლია და დაგირიგებთ ვისაც გეკუთვნით, დაუყვირა ხალხს მან.

— ბატონო, მოიღე მოწყალება, ეს მეორე დღეა ჩემს შვილებს ლუკმა პური არ უნახავთ, სიმშილით მგლებივითა ღმუიან, ეხლავე მომეცი ცოტაოდენი ფქვილი, ევედრებოდა ერთი ორსული დედაკაცი და თან უფრო და უფრო მოწიწებით წინ იწევდა.

აი დასწყევლოს ღმერთმა ამას კიდევ მუცელი შემობერვია? მოიღე მოწყალება, გააჯავრა მამასახლისმა, შენ ეგრე ყარე და უფრო კარგად დააძლობ შვილებს.

— შენ რაღა გინდა? მიუბრუნდა მამასახლისი ერთ გამხმარ, მაღალ-მაღალ გლეხს, რომელიც ცოლთან ერთად მოკრძალებით უკრავდა თავს.

— გვიშველე რაშე, შენი ჭირიმე, მამასახლისო, ეროგისაგან მოცემული ფქვილი სულ შევჭამეთ, ახლის მიღებამდე კი ორი კვირაა კიდევ, ერთი ფუთი გვიწყალობე...

— კმარა, კმარა ლათაიბ, ბევრი შენისთანა გამოჩნდება; ამას ერთი ფუთი მიართვი, იმას ნახევარი, იმას კიდევ ორი, კარგია შენმა მზემ; ქამარს მოიშვებთ ხოლმე განა მუქთა ქელეხში! დაიკარგე აქედან, შენ თვითონ იცი, ჩვენ მუშებს არ ვაძლევთ დახმარებას, მიაყვირა მამასახლისმა. მამასახლისს იგი ძალიან ეჯავრებოდა, რადგან ყრილობებზე იგი მუდამ მის წინააღმდეგ ლაპარაკობდა და ეხლა ცოტა არ იყოს ესიამოვნა, რომ მის კლანჭებში ჩავარდა.

გიორგი ივანესძე ნატრაძე. — ქართველი მემუსიკე, „განათლების“ სკოლის გალობის მასწავლებელი. და ფილარმონიულ საზოგადოების სკოლის ინსპექტორი. გარდაიცვალა 1 ივლისს.

— შემიბრალე, შენი ჭირიმე, მამასახლისო, რა გამოვიდა რომ მუშა ვარ. ფერდი ფერდზედ მეკვრება შიმშილით, მუხლთ მეკვეცება. ლუღლუღებდა საბრალო და თან გამხმარ ხელებით სრესავდა ქუდს. იქ მყოფნი ყველანი დაჩუმდნენ.

— გეუბნებიან არ შეიძლება, მორჩა და გათავდა, რას გადამეკიდე? დაუყვირა მამასახლისმა და შინისკენ გასწია.

— მართლა და შვილონანიასა ეგრე ხომ არ არის საქმე; ჯერ უნდა გაიგოს ვის რამდენი აკლია და მერე ისე დაარიგოს, ყაყანებდნენ გლეხები... ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, მხოლოდ გაბუა იდგა ისევ იმ ალაგას თავ ჩაქინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრული... განა ეს სამართალია, განა ადამიანობაა, რომ მე ასე მშიოდეს და სხვას კი, ვისაც ცოტა მაინც აქვს, ურიგებდნენ ფქვილს? ფიქრობდა იგი და გული უფრო და უფრო უკვდებოდა. არასდროს არ უგრძვნია მას თავი ასე შეურაცხყოფილად, ყველასგან მიგდებულად, დაბრიყვებულად, როგორც ეხლა, არას დროს ისე საზარლად არ წარმოდგომია თვალწინ შიმშილი, როგორც ეხლა წარმოუდგა. დიდხანს იყო გაბუა ასე ჩაფიქრებული, მერმე თითქოს რაღაც გადაწყვიტა გუნებაში, გრძელი და ჭუჭყიანი თმით დაფარული თავი შეიქნია, ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა, ერთი რაღაც ნაირად მიიხედ მოიხედა და სწრაფის ნაბიჯით შინისკენ გასწია.

დადგა ბნელი ღამე. ნარნარა თოვლმა თავის სავანე წააფარა მიწას. არგვლივ მკვდრული სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ხანდისხან არღვევდა ამ სიჩუმეს ორი დარაჯის ხრუტუნი, რომელნიც მამასახლასმა იმ ღამეს დააყენა სამართველოს კარზე, რომ ფქვილი არავის მოეპარა. იგინი ტყავებში გახვეულიყვნენ, ერთგულ ძაღლივით შიგ კარებში მოკუნტულიყვნენ და ეძინათ. მაგრამ შიმშილმა შიში არ იცის და აი ურემს მიეპარა ვიღასაც ჩრდილი, სწრაფად გაფაშვა დანით ტილო და იქიდან ტომარაში, რომელიც თან მოეტანა, ფქვილის ყრა დაიწყო. მაგრამ რაც ყარაულებმა ვერ გაიგეს, იმას ყური მოჰკრა ერთგულმა მურიამ, რომელიც იქვე გორგალივით მოკუნტულიყო, წამოვარდა და ყეფით ჩრდილისკენ გაექანა.

„არიქა, დანიელ, ქურდებია“, დაიყვირა ვიღაცამ. ყარაულები წამოცვივდნენ ზეზე. ადამიანის ჩრდილი სწრაფად მოსცილდა ურემს, მაგრამ ბოროტი მურია აღარ შორდებოდა და ტანისამოს აფლეთდა. „ტყუილია, ველარ წაგვიხვალ“, გაიცინოდა აქეთ იქიდან. ჩრდილმა რაკი დაინახა, რომ ძაღლი აღარ ცილდებოდა, უცებ დაიხარა; გაიპრიალა დანამ, და მურია წკმუტუნით უკან შემოტრიალდა, შავმა რაღამაც შეღება უცებ თოვლი „ოჰო, დანაცა აქვს“, წამოიყვირა გახელებულმა დანიელამ, მივარდა და ისე მძლავრად დაჰკრა კეტი თავში, რომ მან ხმის ამოღება ვერც კი მოასწრო და უგრძნობლად გაიშხლართა ფიფქ თოვლზე. — „შენ ქურდობ, ავაზაკობ, კიდევ იზამ!“, ყვიროდნენ ყარაულები და სცემდნენ რაც ძალი და ღონე ქონდათ კეტებს საბრალო ადამიანს, თითქო სიმინდს სცეხვამენო. იგინი ნამეტნავად დანის დანახვამ გაახელა.

— მოიცა ერთი, დანიელ, მგონი აღარც კი სუნთქავს, სთქვა ბოლოს ერთმა. — ეი, ცოცხალი ხარ კიდევ? შეეკითხა იგი და თან წიხლი ჰკრა გვერდში. იგი სდუმდა.

— მართლა რა გვრჯოდა, რას ვერჩოდით, ე ხომ მიდიოდა და წასულიყო, ჯანაბას მისი თავი, რისთვის ჩავიდინეთ ცოდვა, წაილაპარაკა დანიელამ ჩუმათ და თან რაღაც ხმის კანკალი დაეტყო. მერე დაიხარა ძირს და სთქვა— დასწყევლოს ღმერთმა ხმას არ იღებს და კი არ მოკვდეს; გაიქეცი ერთი ფარანი მოიტანე, მე აქ მოვიცდი; ფარანი მოიტანეს. მისმა მკრთალმა ნათელმა ოდნავად მიანათა ნახევრად ფქვილით სავსე ძველ ტომარას და იქვე სისხლით მოსვრილ უგრძნობლად მდებარე გვამს...

ეს იყო გაბუა...

ვინმე სანგანიძე.



ბედნიერების მოლოდინში

ნოველა.

ეს სწორეთ იმ დღის წინა ღამეს მოხდა, როცა ალვასი უნდა დანიშნულიყო.

სოფელს გარეთ, პატარა ისლით დახურულ ქოხიდან, რომელიც მერცხლის ბუდესავით მოჰკროდა თოვლით დაბურულ მუხნარს, ხატის კანდელივით გამოკრთოდა გლეხისდავითო წამწამაძის—კერაზე ანთებული წალამის ცეცხლი.

მოხუცი დავითი, ცეცხლის პირას სამფეხა სკამზე ჩამომჯდარი, გაცვეთილ ქალამანებს აბანდულებდა და დრო და დრო თავის ქალიშვილს ალვასის აქეზებდა!

— დაუჩქარე, შვილო, დაუჩქარე! აგერ შუა ღამე გადავიდა, ხომ იცი, ხვალ ადრე ასადგომი ვართ?

ცქრიალა, ონტკოფას ყვავილივით გადაბურღული, ალვასი, კოვზით ხელში, თავს დასტრიალებდა თიხის ქოთანს, რომელშიაც სახვალიო საცივი მზადდებოდა.



ივანე გიორგის ძე მაჩაბელი.

(მისი უკვალოდ დაკარგვის 12 წლის თავის გამო).

— რა ვქნა, მამა, ძველი ინდოურია და ხარშვა რო ადაკლდეს, თავი მამეჭრება!

— ხარშვას კი ნუ დააკლებ, შვილო, ცეცხლი შეუმატე- ალვასი შეშისთვის მიბრუნდა, და ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა.

— ასე არ ჯობდა? ახლა ყოლიფერი მოკეთებული გვაქ; ხვალ, ღვთის შეწევნით, ადრე ადექი, მეირთე, მეიკმაზე და. მოხუცმა მოღიმარი, ბამაშვილურ სიყვარულით სავსე, თვალი მიაპყრო მას—მეიკაზმე და შენს კოხტა ბიჭს მოხვიე ხელი!

ალვასის სახეზე უცნობი, ჯერ გამოუცდელ გრძნობის შუქი აპრიალდა. გაორკეცებული სიამით ჩაიჭრა იგი გრძნობა ქალის უმანკო გულში და უსაზღვროთ გაიშალა: ყოველი ნერვი, სისხლის თვით უჩინარი მილი, ჯადოსნური სისწრაფით აავსო, ააღელვა. მორცხვი, ქალწულებრივი გრძნობა მწვავე ვნებათ იქცა და, ათრთოლებულ სისხლში გაქნილი, მთელ ტანს მოედო. მის სულის სილრმეში, იქ, სადაც იმალება ხოლმე ნასახი ბედის წერისა, მომავლის იმედთან ერთად რაღაც იდუმალი, სახე უჩინარი ამოძრავდა; მომავალ ბედნიერების ანკარა ნაკადს ტალახიან რუსავით შეერთო ის უცხო რაღაც და თითქმის მოსპო, გაანახევრა იგი.

— ეს ყოლიფერი კაია, მარა უნდა დევისიძოო რო ამბობ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო! უნდა დევისიძო, შვილო, აპა? ისიც იმიტო მოგვეკიდა ასე იოლათ, თვარა...

— კი, მარა...

თვალით ანიშნა ცეცხლი პირს მძინარე ფეხშიშველა, პატარა ძმაზე.

—... იმას ხო მონაწილე გოუჩდება?

— ეჰ, გოუჩდება, შვილო, გაუჩდება! მართალს ამბობ მარა აპა რა უნდა მექნა? მე აღარა შემიძლიარა: ხომ ხედავ—სული კბილით მიკავია. მტრისა და ავისას, რო რამე გამიჭირდეს, ვინ იქნება თქვენი მამხედავი? ცოცხალ ადამიან მტერიც უნდა ჰყავდეს და მოყვარეც. ხომ იცი, რანაირ დროში ვართ: ყველგან გზირი დგას; სოფელ-ქვეყანას ზეკუცია მოდებია, მათი შიშით ნალიაში სიმინდი ვეღარ დაგვიტოვებია და ჭურში ღვინო.

ვახტანგ მეექვსე. — (ქართულ სტამბის 200 წ. არებობის გამო). 1729 წ. ვახტანგ მეფე ქართველ დიდებულებით რუსეთში გადასახლდა პეტრე დიდთან უნდა მოსულიყო, მაგრამ ცოცხალს ვეღარ მიუსწრო. ხოლო პეტრეს მეუღლემ ვახტანგი ორდენებით დაჯილდოვა

ღვთის რისხვა მოგვევლინა, შვილო, ღვთის რისხვა! გუშინ კიდევ წიფლარში მამასახლისი მოუკლავთ!..

— უი მე! — შიშით წამოიძახა ალვასიმ და ფერი ეცვილა,—ალბათ იქ მიდიოდა ამდენი ჯარი!

— ჰო, იქ მიდიოდა! ამბობენ მთელ სოფელს გადაწვავენო. — მოხუცმა ღრმათ ამოიხვნეშა და განაგრძო;—ნამდვილად!.. მეორეთ მოსვლის ნიშნიებია, ნამდვილად ღმერთო, ჩვენ სისაწყლეს ნურაფერს გაუჭირვებ!... რას ვამობდი? ჰო, ამისთანა უბედურ დროში ვართ, შვილო, და, მაგ ბარტყის ამარა ხო ვერ დაგტოვებდი! გაზარდოს ღმერთმა ეგეც, თქვენც კარგათ გამყოფოსთ, შვილო, ორივე ცოლ-ქმარი და იძმეთ ერთმანეთი. გამრჯელი ადამიანი ყოველთვინ დეირჩენს თავს. თუ მარჯვეთ იქნებით, ბარს ორ ცხონებას შამოუთვლით ჩემ გაჯახირებულ სულს, რო საქმე ამდენათ მოვაგვარე!..:

კიდევ დიდხანს ებაასებოდა მოსიყვარულე მამა თავის ერთად ერთ ნუგეშს რომელიც მტრედივით მორჩილ ქალიშვილის სახით მოუვლინა მას განგებამ; მაგრამ იმ მუსაიფში, რომელიც უმთავრესათ აწმყოსა და ახლო მომავლის გათვალისწინებას ეხებოდა, დრო და დრო უცნაური, წინასწარმეტყველური რაღაცა კრთოდა, თითქოს მოხუცს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენია და სიტყვიერ ანდერძს უტოვებს საყვარელ ჭირისუფალსო. თუმცა იგი თვალნათლათ ხედავდა დიდი ხნიდან გულს ნახუტებ ოცნების განამდვილებას, საკუთარი სისხლ-ხორცით გრძნობდა, თითქმის ეხებოდა მის სინამდვილეს, მაგრამ ეს ხორც შესხმული, განამდვილებული ოცნება იდუმალ, გაურკვეველ კრთომით აღელვებდა სიბერისა და მრავალ ტანჯვა-წამებისაგან დაღარულ გულს. იგი ალღოთი გებულობდ-, რომ დასახულ ბედნიერებას ისეთი რაღაც ეკოწიწება, რომელიც დაჟინებულ ძლიერებით სცდელობს მის შელახვას, გაწბილებას. იქ, მამაშვილურ სიყვარულით გაუმაძღარ, გულში, ვით ჯადოსნური მორგვი, იხვევოდა ის „რაღაც“—საშინელი და უსახო—რომლის ჯოჯოხეთური აჩრდილი დემანურ ულმობელობით ავიწროებდა, სჭყლეტდა ყვავილის კოკორივით გამონასკულ ბედნიერების ჩანასახს.

მოხუცს სურდა იმ უცნაურ „რაღაცის“ შესახებ ქალიშვილისათვისაც გაეზიარებია თავისი ფიქრი, მაგრამ ალვასის ქალწულებრივ სახეს ისეთი სასოებით სავსე ღიმილი გადაჭკროდა, რომ მამას შეენანა სპეტაკ, უმანკო სულის ამღვრევა.

— მიალაგ-მოალაგე, შვილო, დავწვეთ: მეორე მამლის ყიულია! ძილით კი არ მეძინება, მარა იქნება ძვლებმა მაინც დეისვენონ.

ალვასიმ საცივის ქოთანი თაროზე შედგა, ცეცხლში ნამწვავი ჯირკი ჩაფლა, ნაცარი მიაყარა და ზედ კეცები მიაფარა. მერე შინ მოქსოვილ სამოსლის ქვეშაგები გადმოშალა, მძინარე ძმა მოფრთხილებით აიყვანა და ლოგინზე მიაწვინა; ცოტა ხნის შემდეგ თითონაც გვერდს ამოაწვა. მოხუცმა კი კერის ახლო გაშალა თვისი სკამლოგინი, მუთაქის მაგიერ სასთუმალს ძველი ჩოხა მიიდო, ქისა-ყალიონი თავქვეშ ამოიდო, ლმობიერათ პირჯვარი გამოისახა და კვნესა-კრუტუნით ცივ საბანში გაეხვია.

წყვდიადმა ფრთა გაშალა. ობოლი ქოხი მიეცა ძილს, იმ მტრედის ფერ ძილს, როცა სიბნელე ოდნავ ჩამოაფარებს ხოლმე ფარდას უდიერ სინამდვილეს რომ მჭრქალი ჩადრიდან უფრო საშინლათ აჩვენოს ადამიანს ცხოვრების სახე.

სძინავს ქოხს; სძინავთ ალვასისა და მის პატარა ძმას, ხოლო მოხუცს ძილი არ ეკარება:..

— რა არი ადამიანის ცხოვრება?—ფიქრობს იგი—ფათურობ, ფათურობ, ფუტკარივით მთელი შენი სიცოცხლე, მიიხედავ უკან და... არაფერი! „ათასი წელი, ვითარცა ერთი დღე“—გაახსენდა საღვთო-წერილის სიტყვები—უჯიათმა შრომამ წელში გამტეხა ჯანი დამილია, აწი სიკვდილიც მამეპარება და... ეჰ, გოუმაძღარი კაცის გული: მე აწი მინდა სიცოცხლე, რო ი ორი ბოვშვის ბედნიერებას ვუყურო! მარა... მადლობა უფალს, კაი ბედი მამგვარა ჯარს! არა!.. კაი ბიჭია, კაი!.. მარა არც ჩემი გოგოა დასაწუნარი: ათი ცხენოსანი სტუმარი რო დეეცეს თავს, ისე დახვდება, როგორც კაი გამოცდილი დიასახლის. დაადგა დედა მისის სულს უკვდავი ნათელი! სულ საცოდავი დესპინეა გამოსახული...

მოხუცმა კვნესით გვერდი ინაცვლა და ისევ ფიქრში გაეხვია:

— ქალი ის იყო და ლეჩაქიც იმას ეხურა! აი, ბეჩაო, რა გამრჯელი ადამიანი იყო! ის რო აქამდი გვერდს მყოლოდა, ჩვენ ბედს ძაღლი არ დაყეფდა, მარა მადლობა უფალს!

მან გრძლათ დაამთქნარა და პირჯვარი გამოისახა.

სძინავს თოვლით შებორბლილ ქოხს. სძინავს ალვასისა და მის გვერდზე, სოკოსავით ამოტყუბულ პატარა ძმას. სძინავს პატარა ქოხს...

უკვე დაბალი სადილობაა. სუფთად დაგვილ-დალაგებუ-

ლი ქოხი სავსეა სტუმრებით. სასიძო კაი ხანია მოვიდა. ყველანი კერას შემოსხდომიან, რომელზედაც ჯირკის ცეცხლი ღუღუნობს. შუაში მღვდელი ჩაუსვამსთ. მის გვერდით სიძე ტკბილათ მუსაიფობენ. ალვასი ფეხზე ტრიალებს—საღილის სამზადისშია. ქალები ერთ კუთხეში მოთავსებულან და სასიძოს უთვალ-თვალებდნენ. ხან და ხან ალვასის უღიმებენ თვალით რაღაცას ანიშნებენ. ოჰ, რა ეშმაკები არიან ე ქალები!.. მაგრამ ალვასის მათთვის არა სცალია. ყველაფერი მზათაა, სუფრაც გაშლილია. მაშ, დაიწყონ ნიშნობა, რაღას უცდიან?

— მამაო, შეეუდგეთ აწი, თუ თქვენი ნება იქნება!

— კარგი! ძალიან კარგი, შვილო!..

მაგრამ... სიძე რა იქნა?..

— სიძე სად არი?..

წელან ხომ აქ იჯდა?..

— სიძე! სიძე!..

ჰმ!.. აი, ეგრე საბუდარში ზის წიწილებთან!.. ოჰ, ღმერთო, რა ხუმარაა! კი, მაგრამ... ამისთანა დროს ვის გაუგონია ასეთი ხუმრობა?!.. აჰ? იცინის, თუ?.. არა, ტირის, ტირის!..

— რა დაგემართა, კაცო?

— რა გატირებს?..

შვილო, შვილო... ცალი ყბა გაშავებია, ზედ წურბელა აზის...

— ავათ ხომ არა ხარ?

— ოჰ, ცოლი მამიკვდა!

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ცოლიანი ყოფილა? შვილო, ალვასი, დეეიღოპეთ ქვრივი გამოდგა შენი საქმრო!..

— რატომ იცი, მამა, მაგისთანა უხიაგი ლაპარაკი! რა ვუყოთ მერე? მეც ქვრივი არა ვარ? აი ჯერაც არ გამიხდია შავები!..

ალვასი მთლათ შავებშია... ტუჩებიც ჩალურჯებია...

— ქვრივია, ქვრივი!..

უჰ, უჰ, რას მეუბნებიან?!..

— მამაო, შეიძლება ნიშნობის შესრულება?

— რატომ არა, შვილო? მხოლოთ... საქვრივო წესით!

— ჰმ, საქვრივო წესით! მერე... როდის დაქვრივდა ჩემი ქალი?!..

— წამოაყენეთ ბეფე-დედოფალი!—ბძანებს მღვდელი დროა შეუდგეთ!

თაროს წინ სდგას მორთულ-მოკაზმული ალვასი:

მის გვერდით ულვაშ-აწკეპილი ზარასპი.

— იცოცხლეთ, შვილებო, იცოცხლეთ!

მღვდელმა გადაიცვა ოლარი და დაიწყო წინდობის წესი: კითხულობს, კითხულობს... ფურცლიდან ფურცელზე გადადის; აღარ თავდება...

— გაბედნიერდით, შვილებო, გაბედნიერდით!

ალვასის მორცხვათ დაუხრია თავი, და ქვეშ-ქვეშ იღიმება, მამას ანიშნებს ბედნიერი ვაროო...

— დაიწინდვის მონა ღვთისა ზარასპი და მხევალი ღვთისა ალვასი, სახელითა მამისათა დაძისათა დასულისა წმინდისათა, ამინ!

ბეჭდები შეუცვალა. მაგრამ... ეს რაღა? ღმერთო, ჩემო, რა უშნო ბეჭდები უყიდია სასიძოს! შავია, როგორც... ნახშირის უნდა იყოს! აჰ? რავა უცნაურათ დიდდებიან, განიერდებიან! ღმერთო! ბეჭედი კი არა... გველია, გველი!.. მიშველეთ, გველია! ალვასის გულზე მიცოცავს... ყელს ეხვევა... ოოჰ, ღმერთო, ღმერთო!.. ვინ ხარ, ქრისტიანი!.. უკბინა!.. აჰ? უკბინა?..

— ოჰ, უკბინა, შვილო, უკბინა—ამბობს მოძღვარი, —ღვთის განგება ყოფილა: უნდა დავემორჩილოთ მის ნებას!.. ეზიარების მხევალი ღვთისა ალვასი, სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულასათა! გააღეთ კარი, მიქელგაბრიელი მოდის!..

— შვილო, შვილო!

საშინელი ხმით დაიყვირა მოხუცმა და გამოეღვიძა ბალიში ცრემლებისაგან დასველებულიყო. თავს მოწოლილი სისხლი ჩაქუჩივით მძიმეთ სცემდა. გული მომაკვდავ ჩიტივით უფართხალებდა.

— ღმერთო, შენ იყავ ჩემი მფარველი!

სასოწარკვეთილებით წაიპუტუნა მან და წამოდგა კერაზე მიზავებული ცეცხლი გადმოჩხრიკა, ზედ ხმელი ვენახის ლერწი მიაყარა და შეუბერა, წალამმა ერთბაშათ იპიწკინა და მყუდრო ქოხი უცხო ფერათ გაანათა. მოხუცი დააშტერდა ალიპ-ლიპებულ ცეცხლს და უნებურათ მწარეთ დაფიქრდა...

სადღაც შორს ძაღლმა იყეფა, მერე ისევ მიჩუმდა. მოხუცი სწუხს, ყალიონს ყალიონზე სცლის:

— რა უხიაგი სიზმარი იყო!.. ღმერთო, დაიცევ განსაცდელისაგან.

ორღობიდან ცხენის ფოქვენა და მთვრალთა სიმღერა მოისმა...

— ეს სალდათებია—საზეკუციოთ მოსული ჯარი!

ძლივს უსწრაფეს გაივლო მან გულში და ციების კანკალმა აიტანა.

ხმაურობა თან და თან ახლოვდებოდა: თითქოს მის ეზოში შემოვიდნენ კიდეც.

— ოოჰ, ეს საშინელი სიზმარი... ღვთისმშობელო, წმინდაო გიორგი!..

კვლავ სიმღერა—ხრინწიანი, არეულ-დარეული.

მთვრალთა ღრიანცელი წინკარში მისწყდა. წუთიც და ქოხის კარს მაგრათ დაარახუნეს..

მოხუცს თვალთ დაუბნელდა—სიზმრისა და სინამდვილის უცნაურმა გადახლართვამ შიშის ზარი დასცა მის გონებას; საშინელი ჩვენება განხორციელდა.

— **Отвори, отвори, чорртъ!..**

ქოხის კარმა ჭრიჭინი დაიწყო.

მოხუცი გამოერკვა. არა ადამიანური თავგანწირულებით შვილებისკენ გაექანა და კრუხივით თავს დაეფარა.

წუთი, მხოლოთ საშინელი წუთი მოლოდინისა და მთვრალი, გამხეცებული ბრბო შეესია მიყუჩებულ ქოხს... დედამიწა შეინძრა, შეტორტმანდა; მერე პირი ჰქნა—საშინელი შავი პირი და ჯოჯოხეთურ სიცილ-ხარხარით შთანთქა ობოლ ქოხის მთელი მომავალი—ალვახის ბედნიერება.

მხეცურ ვნებათ ღელვისაგან აკანკალებული, მთვრალი ხელები შხამიან ასპიდივით მოეხვევნ ალვასის ქალწულებრივ ტანს და დემონურ ზოზინით ჩაითრიეს იგი სადღაც შორს, მწვავე ტკივილისა და სიამის უძირო მორევში.

კერაზე ალიპლიპებულმა ცეცხლმა, თითქოს საძაგლობას თვალი მოარიდაო, უკანასკნელათ იფეთქა და ჩაჰქრა. დადგა ღამე ჯადოქრულ თავაშვებისა, საზარელი და საშინელი.

გარეთ კი ქრისტეშობისთვის რძის ფერი ცა უხვათ აყრიდა ცოდვილ დედა-მიწას პირველ თოვლს, თითქოს ადამიანთა ბოროტება მისთვის ძვირფასია და სპეტაკ უმანკოების ზეწარში უნდა გაახვიოსო.

ჭ. უმბაძე.

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ხრამელაშვილისა** ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სინათლე“, ტფილისი, რუსის ქუჩა. № 3